ბრძანება:**ბ44. 442314945**
თარიღი:**29/05/2023**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის N44-4423124325; 11 მაისის N44-4423131264; 15 მაისის N44-4423135473 და N44-4423135475 წერილობითი შეტყობინებების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ

2023 წლის 04 მაისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის N44-4423124325 წერილობითი შეტყობინებით ეცნობა შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) დირექტორს ნიკოლოზ ტურაბელიძეს (პ/ნ: 01011079792) 1 (ერთი) თვის ვადაში გამოეთავისუფლებინა და პირვანდელ მდგომარეობაში დაებრუნებინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის იჯარით გადმოცემული უძრავი ქონება ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N2-ში არსებულ სკვერში (ს/კ: 03.03.21.352) მდებარე სანაყინე პავილიონის ქვეშ არსებული 124,8 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული შეტყობინება გაიგზავნა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში მითითებულ შპს „ნიკოლოს“ დირექტორის ნიკოლოზ ტურაბელიძის (პ/ნ: 01011079792) საცხოვრებელ მისამართზე: ქალაქი თბილისი, შირაქის ქუჩა N3, ბინა 10. საქართველოს ფოსტის ინფორმაციით, გზავნილის ჩაბარება ადრესატისათვის ვერ მოხერხდა.

იგივე შინაარსის წერილი (N44-4423131264) შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2023 წლის 11 მაისს გაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ფიქსირებულ იურიდიულ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი ფალიაშვილის ქუჩა N2. იმავე დღესვე, N44-4423131264 წერილი შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ფიქსირებულ ელ. ფოსტაზე: shps.nikolo@yahoo.com, თუმცა, ვერც საფოსტო გზავნილის და ვერც ელ. ფოსტის გზავნილის ჩაბარება ადრესატისათვის ვერ მოხერხდა.

ზემოთ მითითებული შინაარსის წერილი (N44-4423135475) შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) დირექტორს ნიკოლოზ ტურაბელიძეს (პ/ნ: 01011079792) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2023 წლის 15 მაისს, კვლავ გაეგზავნა მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართზე: ქალაქი თბილისი, შირაქის ქუჩა N3, ბინა 10. თუმცა, გზავნილის ჩაბარება ადრესატისათვის კვლავ ვერ მოხერხდა.

2023 წლის 15 მაისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

მსგავსი შინაარსის წერილობითი შეტყობინება (N44-4423135473) გაიგზავნა ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ფიქსირებულ შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) იურიდიულ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა N2, მაგრამ გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება კვლავ ვერ მოხერხდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოქვეყნდეს საჯაროდ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) დირექტორის ნიკოლოზ ტურაბელიძისათვის (პ/ნ: 01011079792) 2023 წლის 04 და 15 მაისს გაგზავნილი N44-4423124325 და N44-4423135475 წერილობითი შეტყობინებები.

2. გამოქვეყნდეს საჯაროდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) იურიდიულ მისამართზე 2023 წლის 11 და 15 მაისს გაგზავნილი N44-4423131264 და N44-4423135473 წერილობითი შეტყობინებები.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულს, სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილებას დაევალოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული შეტყობინებების გამოქვეყნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე: Kutaisi.gov.ge

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულს, სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას დაევალოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული შეტყობინებების გამოქვეყნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში პირველ სართულზე სპეციალურად განთავსებულ დაფაზე.

5. ეთხოვოს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას“ (ს/კ: 412767830), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული შეტყობინებების გამოქვეყნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ფიქსირებულ შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) „სხვა მისამართზე“, კერძოდ ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N2, სანაყინე პავილიონის შენობაზე თვალსაჩინო ადგილზე.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა, იურიდიულმა განყოფილებამ, წინამდებარე ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული შეტყობინებების საჯაროდ გამოქვეყნებიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ შპს „ნიკოლოს“ (ს/კ: 212670368) მხრიდან რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N2-ში არსებულ სკვერში (ს/კ: 03.03.21.352) მდებარე სანაყინე პავილიონის ქვეშ არსებული 124,8 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი